

ნორმის პროექტი 2019 წელს მოამზადა **თვა ბურკუ-ლაემე**.

წინამდებარე პროექტი განხილულია თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (11.10.2019).

პროექტი დამტკიცებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის სხდომაზე (06.12.2019).

თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიცხვით სახელთა მართლწერა

რიცხვით სახელთა მართლწერისას გასათვალისწინებელია, თუ რომელ ჯგუფს განეკუთვნება ესა თუ ის ფორმა – რაოდენობითს, რიგობითსა თუ წილობითს. მნიშვნელოვანია ისიც, სიტყვიერად ვწერთ თუ ციფრებით, რიცხვითი სახელი არაბული ციფრებითაა გამოსახული თუ რომაულით. სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს ასევე თანდებულიანი და ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების სათანადოდ გაფორმება.

თუ რაოდენობითი რიცხვითი სახელი დგას რომელიმე ბრუნვაში, გარდა სახელობითისა, ციფრით გამოსახვისას დეფისით უნდა გამოიყოს ბრუნვის ნიშანი: **25-მა, 34-ის, 67-ით...** თანდებულიანი რიცხვითი სახელის შემთხვევაში კი საკითხი ასე დაისმის: არაბული ციფრით გამოხატული რიცხვითი სახელის დაწერისას თანდებულთან ერთად ბრუნვის ნიშანიც აღინიშნოს თუ არა? – **25-ისათვის** თუ **25-თვის?** **19-ისათვის** თუ **19-თვის?** **9-სავით** თუ **9-ვით?** რაოდენობითი რიცხვითი სახელის შემდეგ თანდებული დეფისით უნდა გამოიყოს ბრუნვის ნიშანთან ერთად: **25-ის(ა)თვის, 38-ის(ა)კენ, 40-ის(ა)თვის, 59-ის(ა)კენ, 9-სავით...** იმ თანდებულთა შემთხვევაში კი, რომელთა დართვისას ისედაც არ ჩანს ბრუნვის ნიშანი (ფონეტიკური პროცესების გამო იკარგება), მხოლოდ თანდებული გამოიყოფა: **22-ში, 35-ზე, 16-თან...**

გასარკვევია, როგორ დაიწეროს **-მდე** და **-დან** თანდებულებიანი რიცხვითი სახელები. როგორც ცნობილია, მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე **-გან** თანდებულის დართვით (თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან კვეცად სახელებთან) ვიღებთ **-იდან** თანდებულს

(თანამედროვე ქართულში -**იდან** უკვე ერთი ფორმანტია). შესაბამისად, უნდა დაიწეროს: **5-იდან, 27-იდან, 43-იდან... 8-იდან, 9-იდან, 28-იდან, 29-იდან...** მცდარია ამ ფორმათა ბოლო ხანს გავრცელებული შემდეგი დაწერილობა: 5-დან, 27-დან, 43-დან... ხოლო -**მდე/ამდე** თანდებულიანი ფორმები დაიწერება ასე: **5-ამდე, 287-ამდე, 26-ამდე, 57-ამდე...** რაც შეეხება ხმოვანფუძიან რიცხვით სახელებს, **რვასა** და **ცხრას** (ან მათ შემცველ სხვა რთულ რიცხვით სახელებს), მათ დაერთვის -**მდე** (და არა -**ამდე**). შესაბამისად, დაიწერება ასე: **8-მდე, 9-მდე, 28-მდე, 29-მდე.**

რაოდენობით რიცხვით სახელებთან ასევე გვხვდება ნაწილაკები: -**ც(-ა), -ლა, -ოდე, -ვე**; ორივე, სამილა, თორმეტიც(ა), ხუთიოდე... ასეთი ფორმების გამოყენებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სიტყვიერ ან რომაულ დაწერილობას, თუმცა საჭიროებისამებრ (სპეციფიკური დანიშნულებით) შესაძლოა გამოვიყენოთ არაბული ციფრებიც.

დასაზუსტებელია, როგორ დაიწეროს ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი: **22-ვემ** თუ **22-ივემ**? -**ვე** და -**ოდე** ნაწილაკები ფუძესთანაა შეხორცებული და შემდეგ დაირთავს ბრუნვის ნიშანს: ორივემ, ორივეს, ორივესი, ორივეთი, ორივედ; ორიოდე, ირიოდემ, ორიოდეს, ორიოდესი, ორიოდეთი, ირიოდედ. მართებული დაწერილობა ასეთი იქნება: 2-ვე, 3-ვემ, 2-ვეს, 2-ვესი, 2-ვეთი, 2-ვედ; 2-ოდე, 2-ოდემ, 2-ოდეს, 2-ოდესი, 2-ოდეთი, 2-ოდედ. ყველა დასახელებულ შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ნიშანი -**ი** შეხორცებულია ფუძესთან, დაკარგული აქვს ფუნქცია და ისე დაირთავს ნაწილაკებს. მსგავსი ფორმები ასე უნდა დაიწეროს: 2-ვე, 2-ოდე.

-**ც** და -**ლა** ნაწილაკები რიცხვით სახელს (ისევე როგორც სხვა სახელებს) ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაერთვის, ამიტომ ამ ნაწილაკებდართული რაოდენობითი რიცხვითი სახელები ისე უნდა დაიწეროს, როგორც თანდებულიანი ფორმები: **2-ლა, 2-მალა, 2-სლა, 2-ისლა, 2-ითლა, 2-ადლა; 2-ც, 2-მაც, 2-საც, 2-ისაც, 2-ითაც, 2-ადაც...** ბრუნვის ნიშნების გამოყოფის გარეშე ვერ მოხერხდება კონტექსტის სათანადოდ გააზრება. მაგალითად: 2-სლა დარჩა მოსატანი წიგნები თუ 2-ლა დარჩა მოსატანი წიგნები? რა თქმა უნდა, **2-სლა** დაწერილობის გარეშე აზრი გაუგებარი რჩება. ამიტომ მართებული იქნება -**ლა** ნაწილაკთან ერთად ბრუნვის ნიშანიც (სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარდა) გამოიყოს დეფისით. ამგვარად, -**ლა** და -**ც** ნაწილაკებიან რი-

ცხვით სახელებთან ბრუნვის ნიშნები დაიწერება: **2-ღა, 2-მაღა, 3-ის-ღა, 27-ღა, 32-მაგ, 10-ც, 10-საც** და ა. შ.

რიგობით რიცხვით სახელებზე თანდებულისა თუ ნაწილაკის დართვისას გასათვალისწინებელია არა მხოლოდ ბრუნვის ნიშანი, არამედ რიგობითობის მაწარმოებელი ფორმანტებიც. რაკი **ღა** კავშირისანი რიგობითი რიცხვითი სახელების არაბული ციფრებით გამოსახვისას მათ მხოლოდ ბოლოში უნდა დაერთოს **-ე** სუფიქსი, ეს პრინციპი უნდა გატარდეს თანდებულის დართვის შემთხვევაშიც. თუ რიცხვს ბოლოსართი დაერთვის, თანდებულისანი რიგობითი რიცხვითი სახელის დაწერისას რიგობითობის აღმნიშვნელი **-ე** სუფიქსიც უნდა გამოიყოს: **25-ეში, 43-ესთან, 56-ეზე...** თუ არ აღინიშნა რიგობითობის მაწარმოებელი **-ე**, მაშინ ის აირევა შესაბამის რაოდენობით რიცხვით სახელში: გიორგი სწავლობს მე-100 საჯარო სკოლაში, ხოლო ლუკა – **25-ეში** (და არა **25-ში**). **მე-** პრეფიქსით დაწყებული რიგობითი რიცხვითი სახელები თანდებულების დართვისას დაიწერება ასე: **მე-5-ზე, მე-8-სთან, მე-60-ში, მე-100-ის(ა)თვის...** რიგობითობის მაწარმოებელი აფიქსი შენარჩუნდება აგრეთვე ნაწილაკების დართვისას და ბრუნვის ნიშანთან ერთად გამოიყოფა დეფისით: **22-ეღა, 38-ემღა, მე-4-სღა, მე-4-გე, 35-ევემ...**

ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დეფისით გამოიყოფა ასევე რომაული ციფრებით წარმოდგენილ რიცხვით სახელებს: პეტრე I-ის, ვახტანგ VI-მ, გიორგი III-ისთვის; დავით IV-ის(ა)თვის, ერეკლე II-ის(ა)თვის, ვახტანგ VI-ის(ა)გან...

ნაწილაკთა დართვის შემთხვევაშიც იგივე პრინციპი შენარჩუნდება: **-ვე** და **-ღა** ნაწილაკების დართვისას დეფისით გამოიყოფა ბრუნვის ნიშანი, თანდებული (თუ ისინი დადასტურებულია ფორმაში), შემდეგ კი – ნაწილაკი: **გიორგი III-მღა, ერეკლე II-ითვე, ერეკლე II-მდეც, ერეკლე II-სვე, დავით IV-სღა**. ბრუნვის ნიშნის გამოყოფის გარეშე აქაც აირევა სახელობითისა და სხვა ბრუნვათა ფორმები: **დავით IV-ღა** (სახ. ბრ.) – **დავით IV-სღა** (მიც. ბრ.).

თანდებულისანი და ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელის ციფრით გამოსახვისას დეფისით უნდა გამოიყოს თანდებულები და ბრუნვის ნიშნები (სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარდა): **25-ის(ა)თვის, 38-ის(ა)კენ,**

59-ის(ა)გან, 22-ში, 35-ზე, 16-თან, 8-იდან, 9-იდან, 28-იდან, 29-იდან, 5-ამდე, 287-ამდე, 26-ამდე...

2. ნაწილაკდართული რიცხვითი სახელების გამოყენებისას უპირატესობა მიენიჭოს სიტყვიერ დაწერილობას, ხოლო ციფრად გამოსახვის საჭიროების შემთხვევაში ისინი შესაძლებელია გაფორმდეს შემდეგნაირად: რიცხვითი სახელის აღმნიშვნელ ციფრს დეფისით უნდა გამოეყოს ნაწილაკი ბრუნვის ნიშანთან (სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარდა) და თანდებულთან ერთად (თუ ეს უკანასკნელი ფორმაში დასტურდება): **2-ც, 2-მაც, 2-საც, 2-ისაც, 2-ითაც, 2-ადაც; 2-ღა, 2-მაღა, 2-სღა, 2-ისღა, 2-ითღა, 2-ადღა; 2-ვე, 3-ვემ, 2-ვეს, 2-ვესი, 2-ვეთი, 2-ვედ; 2-ოდე, 2-ოდემ, 2-ოდეს, 2-ოდესი, 2-ისთვისაც, 2-იდანაც...**

3. თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიგობით რიცხვით სახელთა დაწერილობისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სიტყვიერ გაფორმებას (ოცდამეხუთეში, ორმოცდამესამესთან, ორმოცდამეთექვსმეტეზე, მეხუთეზე, მერვესთან, მესამოცეში, მესისათვის), ხოლო თანდებულიანი რიგობითი რიცხვითი სახელის რომაული ციფრით გამოსახვისას მას დეფისით უნდა გამოეყოს ბრუნვის ნიშანი და თანდებული: **XXV-ში, XL-სთან, დავით IV-ის(ა)თვის, ვახტანგ VI-ის(ა)გან...** ნაწილაკთა დართვის შემთხვევაშიც იგივე პრინციპი შენარჩუნდება: დეფისით გამოიყოფა როგორც ბრუნვის ნიშანი და თანდებული, ისე ნაწილაკი: **XXV-მაც, XL-სღა, ერეკლე II-სვე, ერეკლე II-ითვე, ერეკლე II-ისგანაც, გიორგი III-მღა, დავით IV-სღა ...**

4. საჭიროების შემთხვევაში (სპეციფიკური დანიშნულებით გამოყენებისას) თანდებულიანი და/ან ნაწილაკიანი რიგობითი რიცხვითი სახელები შეიძლება გამოისახოს არაბული ციფრებით. ამგვარი დაწერილობისას დეფისით უნდა გამოიყოს ბრუნვის ნიშნები და თანდებულები. ამასთან, აღინიშნება რიგობითობის მაწარმოებელი აფიქსებიც: **25-ეში, 43-ესთან, 56-ეზე, მე-5-ზე, მე-8-სთან, მე-60-ში, მე-100-ის(ა)თვის.** ნაწილაკთა დართვის შემთხვევებშიც იგივე პრინციპი შენარჩუნდება: **22-ელა, 38-ემღა, მე-4-სღა, მე-4-ვე, 35-ვემ...**

Tea Burchuladze

Spelling Numerals with Postpositions and Particles

Summary

The paper deals with the issues of spelling numerals with postpositions and particles. We have paid special attention to the forms of cardinal and ordinal numbers that are added by postpositions and particles as needed. The peculiarity of using the formatives of an ordinal number correctly has been taken into consideration and the rules of adding postpositions and particles has been developed. The same principle has been used when presenting ordinal numbers in Roman numerals.